შპს „ნიუ მაქს“
ქალაქი თბილისი,
მგალობლიშვილის ქუჩა 18
ტელ: (+995 32) 2373385
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22

განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისი, დიღომი ს/კ: 01.72.14.014.764-ში ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

2018 წ.

განსახილველი მრავალფუნქციური კომპლექსი შედგება ორი, 9 და 12 სართულიანი ბლოკისაგან. ამათგან 1 მიწისქვეშა სართულია ავტოფარეხებისთვის.

სამშენებლო უბნისთვის ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა Wo=0,850კპა; თოვლის საფარის წონა-0,50 კპა.

შენობის საძირკვლის ფუძედ მიღებულია ნახევრად მყარი კონსისტენციის ყავისფერი თიხოვანი გრუნტი: φ=17,5°; C=0,483 კგძ/სმ²; E=174 კგძ/სმ²;
საძირკვლად მიღებულია რკ/ბეტონის მონოლითური 110 სმ. ფილა.

შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია მონოლითური რკ/ბეტონის სვეტების, დიაფრაგმების, კოჭებისა და ფილების კარკასულკავშირებიანი სივრცული სისტემით.
თითოეული ბლოკი ერთმანეთისაგან გამოყოფილია სეისმური ნაკერით L=10სმ.

განმარტება

ვინაიდან თავდაპირველად მოხდა შედარებით დაბალი B ბლოკის მშენებლობა, გაჩნდა საშიშროება იმისა რომ, უფრო მაღალი A ბლოკის მშენებლობის შემთხვევაში, საძირკველიდან ფუძეზე გადაცემული დატვირთვები უარყოფითედ იმოქმედებს უკვე აშენებულ B ბლოკის შენობაზე, კერძოდ A ბლოკის მიჯრით მშენებლობა გამოიწვევს არსებული B ბლოკის დეფორმაციებს და არათანაბარ ჯდენას.

ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე მოხდა ცვლილება A ბლოკის კონსტრუქციებში, კერძოდ დაშორებულ იქნა A და B ბლოკები ერთმანეთისაგან 10მ-ით -2.90 ნიშნულზე, ხოლო ორივე ბლოკის დაკავშირება მოხდა ისევ მხოლოდ 0.00 ნიშნულზე, სადაც უნდა განთავსდეს კომერციული ფართები, რითაც გამოირიცხა A ბლოკის დატვირთვების ზეგავლენა B ბლოკზე, მაგრამ შენარჩუნდა ორივე ბლოკის ერთიანი კონსტრუქციული კავშირი. ამასთან არსებული წითელი ხაზებიდან გამომდინარე ვერ მოხდა შენობის პირდაპირ გადაადგილება, აღნიშნული გამოიწვევდა წითელი ხაზების დარღვევას, ამიტომ მოვახდინეთ შენობის გეომეტრიის კორექტირება და კოეფიციენტების სრულად ათვისება.

დასკვნა

წარმოდგენილი პროექტით ასაშენებელი ორი A და B ბლოკები კონსტრუქციულად საპროექტო პანდუსით და 0.00 ნიშნულზე არსებული კომერციული სართულით დაკავშირებულია ერთმანეთთან, რის გამოც ითვლება ერთიანი ფუნდამენტის მქონე ნაგებობად, შესაბამისად განხხილული უნდა იყოს მშენებლობა ერთიანი კომპლექსის კუთხით. კონსტრუქციულ დეტალებში არსებული სეისმური შოვის გამო არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ A და B ბლოკები არის ცალკე მდგომი მოცულობები.

ინჟინერ-კონსტრუქტორი: (გ. გელაშვილი)

2018 წ.

შპს „ნიუ მაქს“
ქალაქი თბილისი,
მგალობლიშვილის ქუჩა 18
ტელ: (+995 32) 2373385
სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: BAGAGE22

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, დიღომი ს/კ: 01.72.14.014.764-ში ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

2018 წ.

ქ. თბილისი, დიღომი ნაკ. ს/კ№01.72.14.014.764-ში ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე.

წინა პირობები:

შპს. "ნიუ პოინტ"-ის დაკვეთით, ჩვენს მიერ დასადგენია აღნიშნულ მისამართზე ასაშენებელი მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის მუშა ნახაზებისა და გაანგარიშების ხარისხი, შენობის კონსტრუქციული ელემენტების მდგრადობის და გრძელვადიანი ექსპლუატაციის პერსპექტივით.
დამკვეთის მიერ წარმოდგენილია კორექტირებული პროექტის მასალები:
1. შპს. "ნიუ პოინტ"-ის მიერ შესრულებული კორექტირებული პროექტის არქიტექტურული ნაწილის ვექტორული ფაილი.
2. შპს. "ნიუ პოინტ"-ის მიერ შესრულლებული პროექტის კორექტირებული კონსტრუქციული ნაწილის (pdf) ფაილი.
3. შპს. "ნიუ პოინტ"-ის კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსი **LIRA 9.6 R9**-ის საშუალებით შესრულებული გაანგარიშების ელექტრონული ფაილი.
4. შპს. "კირკიტაძე და კომპანია"-ს მიერ 2016 წელს შესრულებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები.

საერთო:

განსახილველი მრავალფუნქციური კომპლექსი შედგება ორი, 9 და 12 სართულიანი ბლოკისაგან. არდა ამისა თითოეულ ბლოკისათვის დაპროექტებულია 1 მიწისქვეშა სართულია ავტოფარეხებისთვის.
სამშენებლო უბნისთვის ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა Wo=0,850კპა; თოვლის საფარის წონა-0,50 კპა.
შენობის საძირკვლის ფუძედ მიღებულია ნახევრად მყარი კონსისტენციის ყავისფერი თიხოვანი გრუნტი: □=17,5□; C=0,483 კგძ/სმ²; E=174 კგძ/სმ²;
საძირკვლად მიღებულია რკ/ბეტონის მონოლითური 100 სმ. ფილა. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია მონოლითური რკ/ბეტონის სვეტების, დიაფრაგმების, კოჭებისა და ფილების კარკასულკავშირებიანი სივრცული სისტემით.
ძირითადი რკინაბეტონის კონსტრუქციებისათვის ბეტონის კლასი მიღებულია B=25. სამშენებლო არმატურის საპროექტო კლასი- AIII და AI.
ფუძე-საძირკვლების და კარკასულ-კავშირებიანი სისტემის ერთობლივი სივრცული მოდელირება განხორციელებულია კომპიუტერული საანგარიშო პროგრამული კომპლექსის **LIRA 9.6 R9** -ს გამოყენებით. გაანგარიშებები შესრულებულია 8 ბალიანი მიწისძვრის გათვალისწინებით.
ნახაზების სახით წარმოდგენილი კონსტრუქციული ნაწილის მუშა დოკუმენტაციის მხაზველობითი ნაწილი, ასევე კომპიუტერული მოდელირება-გაანგარიშებები

შესრულებულია პროფესიულ დონეზე.

დასკვნა:

ზემოთ განხილული მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის კორექტირებულ კონსტრუქციულ ნაწილს რეკომენდაცია ეძლევა ექსპლუატაციისათვის.

ინჟინერ-კონსტრუქტორი:



(გ. გელაშვილი) 2018 წ.